

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი

სახელობო განათლებისა და მომზადების განვითარების

შუალედური სტრატეგიის (2009-2012 წწ.) პრეზენტაცია

25 სექტემბერი, 2009

თბილისი, საქართველო

უზნაძის ქ. №52 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
საკონფერენციო დარბაზი (№208)

ოქმი

დღის წესრიგი:

1. ეროვნული პროფესიული საბჭოს წევრთა მისასალმებელი სიტყვები;
2. პრეზენტაცია „სახელობო განათლებისა და მომზადების განვითარების შუალედური სტრატეგია 2009-2012 წლები” - მაია ჩანქელიანი, პროფესიული განათლების განვითარების უფროსი;
3. პრეზენტაცია „სახელობო განათლების სტრატეგიის კრიტიკული ანალიზი - ხედვა არასამთავრობო სექტორიდან” - ექსპერტი, ლევან კვაჭაძე;
4. პროფესიული განათლების პროფესიული კავშირის წინადადებები და მოსაზრებები სახელობო განათლებისა და მომზადების განვითარების შუალედური სტრატეგიასთან მიმართებაში;
5. პრეზენტაცია „სახელობო განათლებისა და მომზადების განვითარების შუალედური სტრატეგია 2009-2012 წლები” - საერთაშორისო ექსპერტების რეკომენდაციები, ქ-ნი ნონი ყოჩიშვილი.
6. პრეზენტაცია: ”მოთხოვნათა თანხვედრა: დამსაქმებელთა და მოსწავლეთა ხედვა პროფესიული განათლებისა და მომზადების შესახებ სასტუმროს სექტორში” - ქ-ნი ეკა ფახურიძე, ბრიტანეთის საბჭო.

მოწვეულ სტუმრებს სიტყვით მიმართა ქ-ნმა ირინე ქურდამებ და მადლობა გადაუხადა იმ დიდი ინტერესისთვის, რომელსაც სახელობო განათლების სფეროს რეფორმის მიმართ იჩენენ. ქ-ნმა ირინე ქურდამებ აღნიშნა, რომ პროფესიული განათლების განვითარება არ არის მხოლოდ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პრიორიტეტი, ეს ქვეყნის პრიორიტეტია და სწორედ ამით არის განპირობებული მრავალი დაინტერესებული მხარის ჩართულობა ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებისათვის. ხაზგასმით აღინიშნა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და განსაკუთრებით, ევროკავშირის მალისხმევის შესახებ, რომელიც მიმართულია სახელობო განათლების ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებისკენ. ქ-ნმა ირინე ქურდამებ იმედი გამოთქვა, რომ ეს ძალისხმევა სასურველ შედეგს აუცილებლად გამოიიდებს.

ქ-ნმა ირინე ქურდაძემ მოწვეულ სტუმრებს აცნობა, რომ მიმდინარე წლის 18 სექტემბერს, საქართველოს მთავრობის №678 განკარგულებით, ჩამოყალიბდა სახელობო განათლებისა და მომზადების ეროვნული პროფესიული საბჭო. აღნიშნულ საბჭოში წარმოდგენილები არიან სხვადასხვა დაინტერესებული მხარეები - სახელმწიფო ორგანიზაციები, პროფესიული კავშირები, არასამთავრობო სექტორი, პროფესიული სწავლების ცენტრები. გადამწყვეტია ამ პროცესში დამსაქმებლების ჩართულობა, იმდენად, რამდენადაც სახელობო განათლება პირდაპირ უკავშირდება ბიზნესს.

ქ-ნმა ირინე ქურდაძემ მოკლე განმარტება გააკეთა სახელობო განათლებისა და მომზადების სისტემის შუალედური სტრატეგიის შესახებაც და აღნიშნა, რომ ეს არის დოკუმენტის პროექტი, რომელიც ცდილობს ასახოს 2-3 წელში გადასადგემლი ნაბიჯები.

ამის შემდეგ, მოწვეულ სტუმრებს სიტყვით მიმართა ეკონომიკურ საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველთა ჯგუფის უფროსმა, **ბ-ნმა ვახტანგ ლევაზამ** და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტი კარგ საფუძველს იძლევა იმისათვის, რომ ეროვნულმა პროფესიულმა საბჭომ იმსჯელოს და ჩამოაყალიბოს სტრატეგიის საბოლოო ვერსია.

შრომის ბაზრის კვლევა გვიჩვენებს, რომ ქვეყანაში არსებობს სტრუქტურული უმუშევრობა, რაც იმას ნიშნავს, რომ უმუშევარი ადამიანები ვერ პოულობენ სამსახურს და ამავე დროს, მათი ცოდნა და კვალიფიკაცია არ შეესაბამება ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს. ამ პრობლემის დამლევაში სახელობო განათლებას მნიშვნელოვანი როლი აკისრია. რაც შეეხება თავად სტრატეგიის პროექტს, იგი უნდა შეფასდეს სამი ძირითადი კომპონენტის მიხედვით:

- რესურსები** - უნდა შეფასდეს ის ხარჯები, რაც შუალედური სტრატეგიის განხორციელებისთვის იქნება საჭირო და ამის მიხედვით უნდა მოხდეს პროგრამის კორექტირება - უნდა ავირჩიოთ კონსერვატიული ხარჯვის პოლიტიკა;
- ალტერნატიული შესაძლებლობები** - სტრატეგიამ უფრო მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს არაფორმალურ განათლებას;
- მარეგულირებელი ფონი** - თავი უნდა დავაღწიოთ სტანდარტიზაციას, რათა დამატებითმა რეგულაციებმა არ შეაფერხოს იმ კეთილშობილური მიზნისკენ სვლა, რომელსაც სინამდვილეში ეს სტრატეგია ემსახურება.

ასევე სამ კომპონენტზე გაამახვილა ყურადღება თავის გამოსვლაში ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილემ, **ბ-ნმა ზურაბ ალავიძემ**:

- დასაქმების ხელშეწყობა;
- ბიზნესის ჩართვა;
- მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის პრინციპის დაცვა და უზრუნველყოფა.

ბ-ნმა ზურაბ ალავიძემ აღნიშნა, რომ ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთვის პრიორიტეტულია უმუშევარი მოქალაქეების დასაქმება და მნიშვნელოვანია ყველა ის თემა, რომელიც დასაქმების საკითხებს უკავშირდება. ამდენად, ეკონომიკური განვითარების სამინისტრო აქტიურად ჩაერთვება როგორც სტრატეგიის დახვეწის, ასევე მისი განხორციელების პროცესში.

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ, **ბ-ნმა ილია მაღალაშვილმა** თავის გამოსვლაში ხაზი გაუსვა პროფესიული სწავლების ცენტრების მაქსიმალურად ჩართვას სტრატეგიის პროექტის დახვეწის პროცესში, ამავე დროს, დაეთანხმა ბ-ნი ვახტანგ ლევაზას მოსაზრებას, არსებული რესურსების პრიორიტეტული ამოცანების შესაბამისად განკარგვის თაობაზე.

ბ-ნმა ილია მაღალაშვილმა მადლობა გადაუხადა ევროკომისიის წარმომადგენლობას საქართველოს განათლების სისტემისათვის გაწეული დახმარებისთვის.

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ, ქ-ნმა მარინე ჭოლოშვილმა ისაუბრა იმ პრობლემებზე, რომელსაც სახელოვნებო პროფილის სასწავლებლები ყოველდღიურად აწყდებიან. ეს პრობლემები, პირველ რიგში, დაკავშირებულია სახელობო სპეციალობათა ნუსხისა და სარეკომენდაციო პროფესიული სტანდარტების არარსებობასთან. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აქტიურად მუშაობს ამ საკითხებზე, ჩამოყალიბდა დარგობრივი საბჭოები, სადაც ბევრ სხვა ორგანიზაციასთან ერთად, წარმოდგენილები არიან კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი სპეციალისტები.

ქ-ნმა მარინე ჭოლოშვილმა მაგალითისათვის მოიყვანა თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი, რომელმაც სახელობო კადრების დეფიციტის გამო, თავად გადაწყვიტა შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, რაშიც ბუნებრივია, მას დახმარებას გაუწევს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო.

ბ-ნმა ფრანსუა მესულიემ (საქართველოში ევროკომისიის წარმომადგენლობა) მადლობა გადაუხადა ყველა გამომსვლელს ევროკომისიის საქმიანობის დადებითად შეფასებისთვის. მისი განცხადებით, საქართველოში პროფესიული არ არის პოპულარული და ეს ბევრ ქვეყნაში ასეა, მაგრამ ამავე დროს, სახელობო განათლება მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის და გლობალური ეკონომიკის პირობებში იგი აძლიერებს ქვეყნებს შორის მობილურობას. ამდენად, პროფესიული განათლების განვითარება დაფიქსირდა, როგორც ერთ-ერთი საკვანძო საკითხი ევროკომისიის თანამშრომლობისა საქართველოსთან. თუმცა, ევროკომისიას გააჩნია თავისი წინაპირობები, რათა თავისი დახმარება მომართოს ამ კუთხით. ეს წინაპირობებია:

1. სახელობო განათლების განვითარების სტრატეგია;
2. ეროვნული პროფესიული საბჭოს ჩამოყალიბება.

ბ-ნმა ფრენკ მასულიმ იმედი გამოთქვა, რომ პროფესიული განათლების მიმართ საქართველოს მთავრობის დაინტერესება გაიზრდება და ასევე, გაიზრდება დამსაქმებელთა ჩართულობა სისტემის რეფორმირების პროცესში.

ამის შემდეგ, ქ-ნმა მაია ჩანქსელიანმა (პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი) წარმოადგინა სახელობო განათლებისა და მომზადების განვითარების შუალედური სტრატეგია.

გაიმართა დისკუსია შუალედური სტრატეგიის პროექტთან და ეროვნული პროფესიული საბჭოს შემადგენლობასთან დაკავშირებით:

საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარემ, **ბ-ნმა დენის დავითაშვილმა** გამოთქვა ერთგვარი შენიშვნა ეროვნული პროფესიული საბჭოს შემადგენლობასთან დაკავშირებით და წამოაყენა წინადაღება საბჭოს გაფართოების შესახებ. მისი აზრით, გაცილებით ეფექტური იქნება, თუ საბჭოს შემადგენლობაში შევლენ რეგიონების პროფესიული სწავლების ცენტრების დირექტორები, რადგან რეგიონული წარმომადგენლობა ამ პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია.

ბ-ნმა ვახტანგ ლექავამ ამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ეროვნულ პროფესიულ საბჭოსთან შეიქმნება სამუშაო ჯგუფები და ყველა დაინტერესებულ მხარეს, მათ შორის, პროფესიული სწავლების ცენტრებსაც საშუალება ექნებათ სრულფასოვნად ჩაერთონ სამუშაო პროცესში. ამასთანავე, ბ-ნი ვახტანგ ლექავა დაეთანხმა მოსაზრებას, რომ აქცენტი უნდა გაკეთდეს სწორედ რეგიონებზე და მცირე ქალაქებზე.

ეროვნული პროფესიული საბჭოს შემადგენლობასთან დაკავშირებულ შენიშვნაზე კომენტარი გააკეთა ქ-ნმა ორინე ქურდამებაც. მისი განცხადებით, სამინისტროს ხელმძღვანელობას არა აქვს პროფესიული სწავლების ცენტრებთან კომუნიკაციის პრობლემა, მათთან იმართება როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური შეხვედრები და მექანიზმი იმისა, თუ როგორ უნდა ჩაერთონ პროფესიული სწავლების ცენტრები მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის პროცესში, მრავალია. გარდა ამისა, ეროვნული პროფესიული საბჭოს გაფართოება არ გაზრდის მის ეფექტურობას.

ამის შემდეგ, კომენტარი გააკეთა ბ-ნმა ლევან კვაჭაძემ და ყურადღება გაამახვილა რამდენიმე მირითად საკითხზე:

1. მოლოდინი იმისა, რომ კერძო სექტორი იქნება სახელობო განათლების პროგაიდერი, გადაჭარბებულია;
2. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო კარგად აცნობიერებს სახელობო განათლების სფეროში არსებულ პრობლემებს, რაც ასახულია კიდეც სიტუაციური ანალიზის დოკუმენტში, მაგრამ ამავე დროს, სამოქმედო გეგმა არაა დეკვატურია და ვერ პასუხობს სტრატეგიაში ასახულ გამოწვევებს;
3. სტრატეგიის პროექტში მინიშნებაც კი არ ჩანს უწყვეტი პროფესიული განათლების წახალისებაზე.

ბ-ნი ლევან კვაჭაძის აზრით, პრობლემაა ის, რომ სახელმწიფომ მინიმუმამდე შეამცირა პროფესიული სასწავლებლების რიცხვი, კერძო სექტორის პროფესიული განათლებით დაინტერესება მცირეა და ამავე დროს, გვაქვს განვითარების არაამბიციური გეგმა.

აღნიშნულ კომენტარებზე ბ-ნი ვახტანგ ლეჟავას პასუხი იყო შემდეგი, რომ სახელმწიფოს არა აქვს სახელობო განათლების სისტემის განვითარების ხედვა. ვამბობთ, რომ 2012 წელს უნდა გვქონდეს რაღაც კონკრეტული შედეგი, მაგრამ ეს შედეგი საერთო გზის რა მონაკვეთია, არ ვიცით. ამდენად, ისევ მივდივართ დასკვამდე, რომ 1. მიუხედავად პროფესიული განათლების არაპრესტიულობისა, უნდა შევეცადოთ კერძო სექტორის შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენებას, 2. არაინსტიტუციური სახელობო განათლება უნდა იყოს წახალისებული და 3. გათვალისწინებულ იქნას არა პროფესიული სასწავლებლის, ან პროფესიულის, არამედ დამსაქმებლების მოთხოვნები, რადგან მათზე უკეთ არავინ იცის ბაზრის მოთხოვნები.

ქ-ნი ელიზაბეტ უინშიპის (USAID-ის წარმომადგენელი) განცხადებით, უნდა შევქმნათ ძლიერი, რაციონალური და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პროფესიული განათლების სისტემა, პროფესიული სწავლების ცენტრები უნდა იყოს გარკვეულ სტანდარტებზე აგებული. მხოლოდ ამ შემთხვევაში გაიზრდება მათი პრესტიჟი და გაჩნდება დაინტერესება კერძო სექტორის მხრიდან. ამჟამად, საქართველოს მთავრობა არ უზრუნველყოფს სტანდარტების შემუშავებას და არ ითხოვს კერძო სექტორისაგან ამ სტანდარტების შესრულებას.

ბ-ნი ვახტანგ ლეჟავა - წარმოუდგენელია მოთხოვნის შექმნა ბარიერების დაწესებით. სტანდარტიზაცია და შტამპები იყო საბჭოური სისტემის ნაწილი. ჩვენ შევძელით ამ სისტემის დემონაჟი და ახალ სისტემას იმავე პრინციპებზე ვერ ავაშენებთ.

ბ-ნმა სერგო მაისურაძემ (თბილისის პროფესიული სწავლების ცენტრი) დასვა კითხვა, თუ რა ციფრამდე უნდა შემცირდეს პროფესიული სწავლების ცენტრები. ყოველ 3 წელში ერთხელ ხდება სასწავლებლების მინიმიზაცია, ეს პოზიცია ჩადებულია სტრატეგიის პროექტშიც. თუ არსებობს გარკვეული ზღვრული ციფრი, რომლის იქითაც უკვე სისტემა აღარ იარსებებს?

აღნიშნულ კითხვასთან დაკავშირებით ბ-ნმა ვახტანგ ლეჯავამ განაცხადა, რომ რთულია ვისაუბროთ კონკრეტულ ციფრებზე იმ პირობებში, როცა არა გვაქვს გრძელვადიანი ხედვა. ახალი სისტემა მხოლოდ ახლა ყალიბდება და მომავალი გვიჩვენებს, თუ რამდენი პროფესიული სწავლების ცენტრი შეძლებს სახელობო განათლებაზე მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

ბ-ნმა გიორგი გახელაძემ (აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი) ყურადღება გაამახვილა იმ პრობლემაზე, რომ სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკა ჩამოყალიბებული არ არის, რაც განათლების სპეციალისტებს არ აძლევს პროგნოზების გაკეთების საშუალებას. განათლების სფერო უნდა პასუხობდეს ეკონომიკურ გამოწვევებს, მაგრამ ეს გამოწვევები რა არის, განათლების სისტემამ არ იცის.

ბ-ნმა **ზაზა ავალიანმა** (პროფესიული სწავლების ცენტრი „სპექტრი“) ისაუბრა იმ შეხვედრაზე, რომელიც გაიმართა დამსაქმებლებსა და პროფესიული სწავლების ცენტრის წარმომადგენლებს შორის. აღნიშნულ შეხვედრაზე გამოიკვეთა აუცილებელი პირობები ბიზნესისა და პროფესიული განათლების სფეროს ერთმანეთთან დაკავშირებისათვის: 1. დამსაქმებლების მოტივაციის ხელშეწყობა და 2. სტანდარტების არსებობა, თუნდაც მინიმალური მოთხოვნებით.

ქ-ნმა **თამარ ტაბიძემ** (პროფესიული სწავლების ცენტრი „იკაროსი“) ისაუბრა სახელობო განათლების მწირ დაფინანსებაზე. განათლების საერთო ბიუჯეტიდან პროფესიულ განათლებაზე მოდის მხოლოდ 2% და აქედან ჩანს, რომ სახელობო განათლება სახელმწიფოსთვის პრიორიტეტი არ არის.

ქ-ნმა **ლიანა ლომიძემ** (რუსთავის პროფესიული სწავლების ცენტრი „იმედი“) მიმართა ბატონ ვახტანგ ლეჯავას, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მალისხმევა არ არის საკმარისი და აუცილებელია სახელმწიფოებრივი მიდგომა სახელობო განათლების მიმართ.

ბ-ნი ზაზა ცირამუას (ინფორმაციული ტექნოლოგიების) განცხადებით, რაც უფრო განვითარებულია ქვეყანა, მით მეტია ამ ქვეყანაში მოთხოვნა სახელობო განათლებაზე. ამდენად, არსებობს დიდი იმედი, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში სახელობო განათლება ლომის წილს შეიტანს.

ქ-ნმა **ირინე ქურდაძემ** მოკლე განმარტებები გააკეთა გამოთქმულ შენიშვნებთან დაკავშირებით. მან დადებითად შეაფასა ის ფაქტი, რომ თემის ირგვლივ დისკუსია გაიმართა, რადგან ამ საკითხის სწორად გადაწყვეტაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული: ეკონომიკური წინსვლა, დასაქმება, განათლების ხარისხი და სხვა.

რაც შეეხება პრესტიჟს, დღეს საბჭოთა სისტემა აღარ არსებობს და უნდა ვიფიქროთ რა ადგილს დაიკავებს თანამედროვე საქართველოში სახელობო განათლების დონე. ფაქტია, რომ სახელობო პროფესიებზე მოთხოვნა გაჩნდა.

სუბარი და მცდელობა იმისა, რომ შემუშავებულიყო სახელობო განათლების განვითარების ამსახველი დოკუმენტი, დიდი ხანია მიმდინარებს. იმის გამო, რომ ვერ მოიცავს თავისი თავში გრძელვადიან ხედვას სფეროს განვითარებისა, დოკუმენტს ეწოდა „შუალედური“. თუმცა არსებობს კომპონენტები, რომლებზეც დღესვე უნდა დაიწყოს მუშაობა და ერთ-ერთი ასეთი საკითხია სწორედ დაფინანსება.

ამის შემდეგ, ბ-ნმა **ზაზა ცირამუამ** წარმოადგინა პროფესიული სწავლების ცენტრების რეკომენდაციები. საუბარი რამდენიმე ძირითად საკითხს:

1. სახელობო განათლების სისტემის სიმძლავრის ზრდა;
2. საზოგადოების ინფორმირება;
3. სახელობო განათლების სისტემის ავტონომიურობის ხარისხის ზრდა.

ბ-ნმა ლევან კვაჭაძემ წარმოადგინა არასამთავრობო სექტორის მოსაზრებები სტრატეგიის პროექტთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ სტრატეგიის შემუშავების პროცესი პოზიტიურად წარიმართა და მასში მაქსიმალურად არის გათვალისწინებული დაინტერესებულ მხარეთა მოსაზრებები. პოზიტიურია სტრატეგიის სამოქმედო გეგმაც, მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილი მიზნები ძალიან ზოგადია და დასაკონკრეტებელია თუ რა იგულისხმება თითოეული მიზნის უკან. ასევე, არსებობს გარკვეული შენიშვნებიც:

1. დოკუმენტში საუბარი არ არის პროფესიულ განვითარებაზე;
2. გადაჭარბებული ფუნქციები აქვს მიკუთვნებული ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს;
3. დოკუმენტში არ ჩანს პოლიტიკური ნება. გვაქვს არა ხედვის, არამედ პოლიტიკური ნების არარსებობის პრობლემა.

რაც შეეხება სამოქმედო გეგმას, მისი ძირითადი წუნია ციფრობრივი მახასიათებლები. გეგმა არა ამბიციურია და იგი ვერ იქნება პრობლემების დაძლევის ქმედითი მექანიზმი.

ბ-ნმა დენის დავითაშვილმა წარმოადგინა პროფესიული განათლების პროფესიული კვაშირის მოსაზრებები სახელობო განათლებისა და მომზადების განვითარების შუალედური სტრატეგიასთან მიმართებაში:

1. სამოქმედო გეგმის მიხედვით, დიდი ადგილი უჭირავს დონორი ორგანიზაციების ჩართულობას მთელ რიგ ღონისძიებებში. რამდენად შეთანხმებულია ეს საკითხი თავად ამ დონორებთან?
2. სტრატეგია მოიაზრება, როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დოკუმენტი. მის განხორციელებაზე პასუხისმგებლობა უნდა აიღონ საქართველოს მთავრობამ და პარლამენტმა;
3. როცა ვსაუბრობთ ”საგანმანათლებლო ჩიხზე”, იქნებ დავკონკრეტდეთ რა ჩიხია ეს და რა უნდა იყოს მისგან თავის დაღწევის გზა. საუბარია იმაზე, რომ საგანმანათლებლო სკოლებში სახელობო განათლების პროგრამების პილოტირებამ არ გაამართლა, თუ იმაზე, რომ პროფესიულ ცენტრებს არა აქვთ უფლება განახორციელონ ზოგადსაგანმანათლებლო პროცესი?
4. როცა ვსაუბრობთ ეროვნული უმცირესობების ინტერესების დაცვაზე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ არცერთ რეგიონში, სადაც მოსახლეობის ძირითად ნაწილს ეროვნული უმცირესობები წარმოდგენენ (მარნეული, გარდაბანი, წალკა), არ არის პროფესიული სწავლების ცენტრი.

ქ-ნმა ნინო ყოჩიშვილმა წარმოადგინა საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციები სტრატეგიის პროექტთან დაკავშირებით:

1. ყველა დაინტერესებული მხარის ჩართვა სახელობო განათლების რეფორმის პროცესში;
2. სახელობო განათლების დაფინანსება სხვადასხვა წყაროებიდან;
3. სახელობო განათლების სისტემა უნდა მოიცავდეს განსხვავებულ პროგრამებს განსხვავებული ჯგუფებისათვის;
4. საწყისი სახელობო განათლება უნდა მოიცავდეს უფრო ვრცელ პროგრამას, ხოლო შემდგომი პროგრამები უნდა ოყოს კონკრეტული;
5. უნდა გაიზარდოს კერძო სექტორის როლი;
6. სამუშაოს ძებნა უნდა იყოს შესული იმ მომსახურებაში, რომელსაც პროფესიული სწავლების ცენტრი სტუდენტს აწვდის;

7. სამოქმედო გეგმა უნდა იყოს აგებული სტრატეგიისა და გამოწვევების შესაბამისად. მასში არ ჩანს პრიორიტეტები.

ქ-ნმა ირინე ქურდაძემ მადლობა გადაუხადა ყველა მომხსენებელს კონკრეტული რჩევების მოწოდებისთვის და შეჯამა სტრატეგიის განხილვის პრცესში გამართული დისკუსია:

- ხშირად გვესმის, რომ პროექტი არ არის ამბიციური, მაგრამ ეს ჩვენი ამოცანა არ ყოფილა. დოკუმენტში ასახულია პრობლემები - ეს არის პირველი ეტაპი, დოკუმენტის სახელწოდებიდან კარგად ჩანს რომ ეს არ არის ამბიციური გეგმა, ეს არის შუალედური სტრატეგია;
- რაც შეეხება შენიშვნას, რომ პროფესიულის ნაცვლად ხშირად ვიყენებთ ტერმინს "სახელობო", ეს იმით არის გამოწვეული, რომ ფოკუსირებას ვაკეთებთ სწორედ სახელობო განათლებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა გვეფიქრა სხვა ბევრ თემაზეც, რაც ასევე მნიშვნელოვანია;
- საზოგადოების ინფორმირებულობა მნიშვნელოვნად განაპირობებს სექტორის პრესტიულობას, მაგრამ ეს არ არის მთავარი. ჩვენ არ გვაქვს ის სიმძლავრეები, რაც საჭიროა გაზრდილი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. არსებული დაფინანსების პირობებში, სიმძლავრეებს მნიშვნელოვნად ვერ გავზრდით;
- რაც შეეხება დაფინანსების საკითხს, განათლების სხვა სისტემებიდან ჩვენ დაგვიგროვდა გამოცდილება და მიმდინარეობს სხვადასხვა მოდელების განხილვა. მხოლოდ ამ მოდელების შეჯარების შემდეგ, შევთანხმდებით თუ როგორი ფორმით დაფინანსდება სახელობო განათლება;
- საუბარი იყო ე.წ. საგანმანათლებლო ჩიხზე. ეს სწორედ ის ჩიხია, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო სისტემიდან წამოსული მოსწავლე აწყდება პროფესიული სახელობო პროგრამის გავლის შემდეგ. ამ შემთხვევაში, ჩვენი ამოცანა არ არის, მხოლოდ ის რომ ზოგადი განათლების დამადასტურებელი ატესტატი გავცეთ, არამედ, მივცეთ ის ცოდნა და უნარები, რაც მას დაეხმარება განვითარდეს და მიიღოს უფრო მეტი. სამინისტრო არ აპირებს მველ მოდელზე დაბრუნებას, უნდა მოინახოს პრობლემის დამლევის სხვა მექანიზმი;
- რაც შეეხება საჯარო სკოლებში სახელობო განათლების პილოტირებას, ეს პროცესი დაახლოებით 40 სკოლაში მიმდინარეობს და მოსწავლეებმა აბსოლუტურად ადეკვატურად მიიღეს აღნიშნული პროექტი. ამდენად, ვერ დავეთანხმებით მოსაზრებას, რომ ეს არ არის წარმატებული პროექტი.

სხდომის თავმჯდომარე:

ირინე ქურდაძე

სხდომის მდივანი:

თამარ სამხარაძე